# <u>დღიური</u>

**დღე 1-** ზოგჯერ მგონია, რომ მაღალი ფენის წარმომადგენლები ზედმეტად აკონტროლებენ ადამიანების ცხოვრებას. მე ერთადერთი შვილი ვარ. ასე მოითხოვს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა. სულ ვფიქრობ, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, რომ ძმა ან და მყოლოდა. ალბათ უფრო მარტივად ვისწავლიდი გაზიარებას და მარტო არ ვიქნებოდი. დღეს სკოლაში მასწავლებელმა თქვა, რომ მოსახლეობის სტრუქტურა დაბერებისკენ მიდის და ამიტომ მომავალში შეიძლება წესები შეიცვალოს. კლასში ყველა ბედნიერი სახით უყურებდა ერთმანეთს, თითქოს იმედი გაჩნდა, რომ მომავალში ბავშვებს აღარ აუკრძალავენ და-ძმების ყოლის უფლებას. მე ჩუმად ვიჯექი. ვიცოდი რომ ეს მორიგი ფუჭი იმედი იყო. ჩვენი მოსახლეობის დინამიკა ციფრებით იზომება, როგორ შეიძლება ადამიანების რაოდენობა ბედნიერების საზომად იქცეს? ამას ვერ ვხვდები. იმედია ყველაფერი შეიცვლება. აღარ მინდა ვიყო ერთადერთი შვილი.

**დღე 2-** დღეს სკოლის შემდეგ დედამ მითხრა, რომ ბევრი ჩვენი ნაცნობი სოფლებიდან ქალაქში გადმოვიდა. ეს მექანიკური მოძრაობაა ადამიანები მოსახლეობის დინამიკის ნაწილი ხდებიან. ისინი აქ მოდიან, რადგან ქალაქში უკეთესი სამუშაო და განათლებაა. მაგრამ როცა ქალაქი ივსება, ცხოვრება რთულდება. მგონია, რომ ამდენი ცვლილება ჩვენს იდენტობაზეც მოქმედებს. ბევრი დაბნეულია აღარ ვიცით სად არის ჩვენი ადგილი: ქალაქში თუ სოფელში. დღეს ქალაქის მოედანზე შევხვდი ქალს, რომელიც ფარულად მეორე შვილს ზრდის. მისი თვალები შიშით იყო სავსე, მაგრამ ამ შიშში საოცარი სითბოც იმალებოდა. მან მითხრა: “არავის არ უნდა ეშინოდეს სიცოცხლის.” ამ სიტყვებმა დამაფიქრა. ძილის წინ დავფიქრდი და გავაანალიზე რომ მთავრობამ 2-3 შვილის ყოლა რომ დაუშვას რას მოგვცემს ეს თავისუფლება ახლა, როცა უკვე გვიანია? ჩვენი თაობა ისე გაიზარდა, რომ მარტოობა ჩვენი იდენტობად იქცა. ჩვენ აღარ ვიცით, როგორ გავაზიაროთ სიყვარული და-ძმასთან.

**დღე 3-** სკოლა ჩემთვის მთავარი სოციალიზაციის სააგენტოა. იქ ვსწავლობ, როგორ ვიცხოვრო სხვებთან ერთად, როგორ გამოვხატო აზრი. მაგრამ ზოგჯერ მგონია, რომ სისტემა გვასწავლის, როგორ უნდა ვიყოთ "სწორი" მოქალაქეები და არა თავისუფალი მე მინდა, რომ მეც მქონდეს არჩევანი. ესაა ჩემი ახალი სოციალური მობილობა მინდა ავიწიო ზემოთ არა მხოლოდ კარიერით, არამედ აზროვნებითაც. ქუჩაში ყველგან ვხვდები პლაკატებს სადაც ხსნიან თუ რატომაა კარგი ერთი შვილის ყოლა. მთავრობის წევრები სტუმრობენ ოჯახებს და ყველას გონებას ურეცხავენ.

**დღე 4-** მოსახლეობის სტრუქტურა ბერდება და ბავშვები და ქალები ცოტანი არიან. მთავრობას დიდი თანხის გაცემა უწევს პენსიის და დაფინანსების სახით. მაგრამ ჩემი თაობა აღარ ჩქარობს ოჯახების შექმნას. ყველა სწავლაზე და კარიერაზე ფიქრობს. ხალხისთვის მარტივი გახდა ერთი შვილის რჩენა თითქოს მეც კი შევეჩვიე ასე ყოფნას. თითქოს დრო და სივრცე თითქოს ერთმანეთს აღარ ემთხვევა. თუმცა სრულ თავისუფლებაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა რადგან როცა შენს სიცოცხლეს ჯერ კიდევ სახელმწიფო. მე იმ თაობის ნაწილი ვარ, რომლის სოციალიზაცია მარტოობით დაიწყო. ჩემს ოთახში სიჩუმეა, არც ძმის ხმა მესმის, არც დის. დედა ხშირად ამბობს, რომ ასე უკეთესია უკეთესი მომავალი გველის, უკეთესი საზოგადოება, უკეთესი ცხოვრება. მაგრამ მე ამას ვერ ვგრძნობ. როცა სიჩუმე ღამით მთელ სახლს იპყრობს, მესმის საკუთარი გულისცემა და ის მახსენებს, რომ მარტო ვარ არა ჩემი ნებით არამედ იმიტომ, რომ ასე გადაწყვიტა სახელმწიფომ.

**დღე 5-** ამ დღეებში ბევრს ვფიქრობდი იმაზე, როგორ შეიცვალა ჩვენი მოსახლეობა ამ პოლიტიკის დროს. ამბობენ რომ ადრე ქალაქი სავსე იყო ბავშვების ხმებით, ახლა კი ქუჩები უფრო ჩუმია, თითქოს თვითონ მოსახლეობის სტრუქტურაც შეიცვალა. ოჯახები პატარაა, ზოგი მარტო ცხოვრობს, ზოგი კი სოფლებიდან ქალაქში გადავიდა, უკეთესი შესაძლებლობების საძიებლად, ეს მექანიკური მოძრაობაა, ზოგისთვის სწორედ ესაა ერთადერთი გზა გადარჩენისთვის. ჩვენი დემოგრაფიული პოლიტიკა თითქოს ქვეყნის განვითარებისთვის შეიქმნა, მაგრამ ზოგჯერ მგონია, რომ ადამიანების ბევრი რამე დააკლო. როცა წლების განმავლობაში მხოლოდ ის გესმის რომ მხოლოდ ერთი შვილის ყოლა შეგიძლია, ეს ნელ-ნელა შენს ფიქრებზეც მოქმედებს. ერგები ახალ იდენტობას. სკოლა ისევ ჩემი მთავარი სოციალიზაციის სააგენტოა. იქ ვისწავლე წესები, თანაცხოვრება და ის, როგორ უნდა მოერგო გარემოს. ნელ-ნელა ვხვდები, რომ სოციალური მობილობა მხოლოდ სწავლა და კარიერა არ არის, ესაა შინაგანი სურვილი, შეცვალო ის რეალობა, რომელშიც გაიზარდე. ხანდახან ვგრძნობ, რომ დრო და სივრცე ერთმანეთში აირია. დრო სწრაფად გარბის, მაგრამ სივრცე ჩვენი შესაძლებლობები თითქოს ისევ იგივე დარჩა. და ახლა, როცა ამ ყველაფერზე ვწერ, ვხვდები — ჩვენ, ერთი შვილის თაობამ, ვისწავლეთ პასუხისმგებლობა, მაგრამ ამავდროულად მარტოობაც.

**დასკვნა.** ჩინეთის ერთი ბავშვის პოლიტიკა წარმოადგენდა განსაკუთრებულ დემოგრაფიულ ნაბიჯს, რომელმაც მკვეთრად შეცვალა ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურა, დროისა და სივრცის აღქმა და ადამიანთა სოციალური მობილობა. ამ პოლიტიკის შედეგად შეიზღუდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, შემცირდა შობადობა და გაჩნდა სერიოზული დისბალანსი სქესთა შორის. სახელმწიფოს მიერ გამოყენებული დემოგრაფიული პოლიტიკის ბერკეტები ჯარიმები, ეკონომიკური შეზღუდვები და სოციალური წნეხი მიზნად ისახავდა მოსახლეობის ზრდის კონტროლს, თუმცა საბოლოოდ საზოგადოებაში გამოიწვია ღრმა სოციალური ცვლილებები. ბევრმა ოჯახმა დაკარგა არჩევანის თავისუფლება, რამაც ზეგავლენა მოახდინა ადამიანთა იდენტობაზე და მათ ურთიერთობებზე ოჯახთან, სკოლასთან და თემთან. დროის გასვლასთან ერთად აშკარა გახდა, რომ ერთი ბავშვის პოლიტიკამ არა მხოლოდ

დემოგრაფიულ, არამედ ფსიქოლოგიურ და კულტურულ დონეზეც დატოვა კვალი. შეიქმნა თაობა, რომლის ცხოვრების რიტმი, პასუხისმგებლობა და სამომავლო ხედვა განსაზღვრული იყო სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოებით. ამ პროცესმა ნათლად აჩვენა, როგორ შეუძლია საზოგადოებრივ მოვლენასა და მმართველ ძალაუფლებას შეცვალოს ადამიანთა ყოველდღიური ყოფა, გააფართოვოს ან შეავიწროვოს მათი ადგილი სივრცეში და დროში. შედეგად, ჩინეთის ერთი ბავშვის  პოლიტიკა გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი იმისა, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს დემოგრაფიული გადაწყვეტილება მთელი საზოგადოების განვითარებაზე, მოსახლეობის სტრუქტურასა და მომავალ თაობათა იდენტობაზე.